საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის

მონიტორინგის ანგარიში

1.01.2012 - 30.03.2012

ბრიტანეთის საელჩო
თბილისი

ანგარიში მომზადებულია ბრიტანეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მისი შინაარსი არ გამოხატავს დონორის პოზიციას.

თბილისი
2012

შინაარსი

I. წინასიტყვაობა 3

II. წინასაარჩევნო პროცესები 3

III. ადმინისტრაციული რესურსი და წინასაარჩევნო პროცესები 5

IV. კონტროლის პალატა 10

V. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაშინების, სამსახურიდან გათავისუფლების და ზეწოლის ფაქტები 15

VI. დასკვნა 19

I. წინასიტყვაობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგს აწარმოებდა ბრიტანეთის საელჩოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის – „წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი 2012 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის" – ფარგლებში.

წინასაარჩევნო პროცესებს საია აკვირდებოდა საქართველოს ოთხ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, გორსა და თბილისში, 2012 წლის იანვრიდან 2012 წლის მარტის ჩათვლით.

პროექტის ძირითადი მიზანი იყო წინასაარჩევნო პროცესების მონიტორინგი. კერძოდ, დაკვირვების სამიზნეს წარმოადგენდა იმ ტენდენციების გამოკვეთა, რომლებიც ბოლო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენებს უკავშირდებოდა.

საიას მონიტორები ინფორმაციას სხვადასხვა წყაროდან მოიპოვებენ, მათ შორის საჯარო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის და მედიით[1] გავრცელებული ინფორმაციის მონიტორინგის გზით. ხშირად მოქალაქეები, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები თავად გვაწვდიდნენ ინფორმაციას მათ მიერ დაფიქსირებული სამართალდარღვევებისა და პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დევნის შემთხვევების შესახებ. ინფორმაციის მიღების შემდგომ საიას მონიტორები თითოეულ ფაქტს უშუალოდ განმცხადებლებთან ამოწმებდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ დახმარებას უწევდნენ.

II. წინასაარჩევნო პროცესები

2010 წლის თვითმმართველობის არჩევნების დროს, წინასაარჩევნო პერიოდში, 2008 წლის არჩევნების მსგავსად, კვლავ პრობლემატური იყო სახელმწიფო ორგანოებისა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობას შორის გამყოფი ზღვრის არარსებობა, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს და პოლიტიკურ პარტიებს საქმიანობისათვის არათანაბარ პირობებს უქმნიდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით: **„არასრულყოფილმა საარჩევნო კანონმდებლობამ მმართველ პარტიას საშუალება მისცა, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატების მხარდასაჭერად საბიუჯეტო და ადმინისტრაციული რესურსების სრული მობილიზაცია მოეხდინა."**[2]

სამწუხაროდ, აღნიშნული პრაქტიკის დამკვიდრებას ხელი შეუწყო საარჩევნო კოდექსში იმ ნორმების არსებობამ, რომლებიც პოლიტიკური თანამდებობის პირებს ნებას რთავს, წინასაარჩევნო კამპანია მათი სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელებას შეუთავსონ. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსში ამ ნორმების არსებობას **ვენეციის კომისია** უარყოფით შეფასებას აძლევს[3] და მას **ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტის** იმ მუხლებთან შეუსაბამოდ მიიჩნევს, რომლებიც სახელმწიფოსა და პარტიებს ცალსახად გამიჯვნისაკენ მოუწოდებს და სახელმწიფოებს ავალდებულებს, „პოლიტიკური პარტიები უზრუნველყონ აუცილებელი სამართლებრივი გარანტიებით, რათა მათ შორის კონკურენცია წარიმართოს კანონისა და სახელმწიფო ორგანოების მხრიდან თანასწორი მოპყრობის პირობებში."[4]

2010 წლის ნოემბერში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა მრავალპარტიული ჯგუფი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობდა. საია აქტიურად აკვირდებოდა ჯგუფის მოლაპარაკების პროცესს.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ასევე აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პარლამენტის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის განხილვის პროცესში. საარჩევნო გარემოს რეალურად გაუმჯობესების მიზნით, საიამ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, რეკომენდაციები წარუდგინა საქართველოს პარლამენტს.[5] საარჩევნო კოდექსის პროექტზე საქართველოს პარლამენტს საკუთარი მოსაზრებები **ვენეციის კომისიამაც გააცნო.**[6]

ორკვირიანი განხილვების შემდეგ საქართველოს პარლამენტმა ახალი საარჩევნო კოდექსი 2011 წლის 27 დეკემბერს მიიღო. საქართველოს საარჩევნო კოდექსის ახალი რეგულაციების თანახმად, გაიზარდა იმ თანამდებობის პირთა წრე,[7] რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, შეუზღუდავად მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში. ამ ჩამონათვალს დაემატა სახელმწიფო რწმუნებულის —გუბერნატორის თანამდებობა. ახლებურად დარეგულირდა წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების

---

[1] ცენტრალური და რეგიონალური პრესა, ნაციონალური და რეგიონული მაუწყებლები, ინტერნეტ გამოცემები;

[2] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგის ანგარიში.

[3] ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსზე (2008 წლის ივლისის მდგომარეობით), დასკვნა №454/2007, 2009 წლის 9 იანვარი, სტრასბურგი.

[4] ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი და მე-7 მუხლის მე-6 პუნქტი.

[5] http://www.gyla.ge/legislature/upload/docs/549%20daskvna.pdf

[6] ერთობლივი დასკვნა საქართველოს საარჩევნო კოდექსზე (2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით) http://www.venice.coe.int/site/dynamics/N_Opinion_ef.asp?L=E&OID=617

[7] საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით, პოლიტიკური თანამდებობის პირია – საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები,აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

აკრძალვა.[8] საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს უშიშროების საბჭოსთან საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე მონიტორინგის ორგანოს უწყებათაშორისი კომისიის შექმნა, რომლის შემადგენლობას და საქმიანობის წესს ამტკიცებს უშიშროების საბჭოს მდივანი. სიახლეს წარმოადგენს, ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ საარჩევნო პროცესში მაუწყებლის მიერ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ნორმათა დაცვის კონტროლზე მონიტორინგი და რეაგირება; აგრეთვე, ცვლილებები არჩევნების დაფინანსების საკითხებსა და საარჩევნო დავების ნაწილში.

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებების მიუხედავად, კვლავაც პრობლემად დარჩა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საარჩევნო სისტემა, საჯარო მოხელეთა მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში; იმ თანამდებობის პირთა წრე, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ, შეუზღუდავად მიიღონ მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში; სახელმწიფო და მუნიციპალური რესურსების — შენობების გამოყენების წესი; სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დაფინანსებული ღონისძიებების დროს კამპანიის აკრძალვა და ა.შ.

2011 წლის დეკემბრის ბოლოს ცვლილებები შევიდა, ასევე, საქართველოს კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. ახალი კანონით განისაზღვრა ე.წ. „პარტიასთან კავშირში მყოფი“ ფიზიკური და იურიდიული პირების ცნება. აღნიშნულ პირებზე იგივე რეგულაციები ვრცელდება, რაც პოლიტიკური გაერთიანებებისთვის არის დადგენილი მათი ქონებისა და ფინანსების ფორმირებასთან დაკავშირებით. მაგალითად, „დაკავშირებულ პირებს“ უფლება არა აქვთ, შემოსავალი მიიღონ სამეწარმეო საქმიანობიდან, სხვა სახის საქმიანობით მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 60 000 ლარს წელიწადში; ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან არ აქვთ კრედიტის აღების უფლება, მათი ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს კონტროლის პალატა და სხვა.

კანონის თანახმად, „დაკავშირებული პირის“ დეფინიცია იმდენად ყოვლისმომცველია, რომ შესაძლებლობას იძლევა პარტიასა და მოქალაქეს/იურიდიულ პირს შორის კავშირი ნებისმიერ შემთხვევაში დადგინდეს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნორმების ბუნდოვანება და ყოვლისმომცველობა გარდაუვალს გახდის კანონის შერჩევით და სუბიექტურ აღსრულებას. არ არის დარეგულირებული, ასევე, პარტიასთან კავშირში მყოფ პირად მიჩნევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და გასაჩივრების წესი; მნიშვნელოვანი შეზღუდვები წესდება ფიზიკური/იურიდიული პირის მიერ პოლიტიკური მოსაზრებების გამოთქმისათვის; კანონით დაუდევრად არის დარეგულირებული პირის საკუთრების დაყადაღების/ჩამორთმევის საკითხები, რითაც რეალური საფრთხე ექმნება საკუთრების უფლებას.

აღნიშნული ნორმები, სისხლის სამართლის კოდექსის ახალ ცვლილებებთან ერთად, ამომრჩევლის მოსყიდვისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას აწესებს მოქალაქეებისთვისაც[9] არასაარჩევნო პერიოდშიც (განსხვავებით საარჩევნო კოდექსისაგან, რომლის მიხედვითაც აღნიშნული აკრძალვა მხოლოდ საარჩევნო პერიოდში ვრცელდება). კანონით დგინდება არაგონივრული და შემზღუდველი რეგულაციები, რომლებიც შესაძლებელია შეეხოს თითოეულ მოქალაქეს. კანონის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, დიდია მათი არათანმიმდევრული და შერჩევითი იმპლემენტაციის საშიშროება. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ არანაირი პასუხისმგებლობა არ დგება იმ შემთხვევაში, თუკი ამომრჩევლის მოსყიდვის ეფექტის მქონე საქმიანობა ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ცვლილებების ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ქმნის უთანასწორო საარჩევნო გარემოს, საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებებს, შეზღუდვებს უწესებს სამოქალაქო-პოლიტიკურ აქტივობებს, ადგენს არაგონივრულ და არაპროპორციულ სანქციებს და, მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების განხორციელებას.

არსებული ვითარების გამოსწორებისა და წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, არჩევნების თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედია-საშუალებების წარმომადგენლებმა წამოიწყეს კამპანია **„ეს შენ გეხება!“**[10] რომლის ფარგლებშიც მთელი რიგი აქტივობები დაიგეგმა და განხორციელდა.

კამპანიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადების („მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები) წარდგენა[11] (ავტორები: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება — ISFED, საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო (თ) და კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის“). საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოახდინა წარდგენილი წინადადების ინიცირება და მისი განხილვა პარლამენტში დაიგეგმა.

შედეგად, მხარეთა შორის, კანონმდებლობაში არსებულ მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებთან მიმართებით, მიღწეულ იქნა შეთანხმება. კერძოდ: კანონში „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ აღარ იარსე-

---

[8] საარჩევნო კოდექსით აიკრძალა წინასაარჩევნო კამპანიისთვის სახელმწიფო და მუნიციპალური რესურსების (გარდა შენობებისა) გამოყენების აკრძალვა,თუმცა იქვე დაწესდა გამონაკლისი და იგივე რეჟიმი არ გავრცელდა პოლიტიკური თანამდებობის პირების (გარდა სახელმწიფო რწმუნებულისა-გუბერნატორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი პირებისა,რომლებიც არჩეულნი არ არიან პირდაპირი არჩევნების გზით) მიერ მათი სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენებაზე.

[9] 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ჯარიმით დაისჯება ის ამომრჩეველი, რომელიც პოლიტიკური მიზნით, პარტიის ან მასთან პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებული ფიზიკური და იურიდიული პირისგან ფულად ან სხვა საჩუქარს მიიღებს ან მოითხოვს (სსსკ 164-ე პრიმა მუხლი).

[10] www.esshengexeba.ge

[11] http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1212%3A-q-q-&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

ბებს პოლიტიკურ პარტიასთან პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებული პირის ცნება; დავიწროვდება და მკაფიოდ გაიწერება პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდება პოლიტიკური პარტიისათვის დაწესებული შეზღუდვები და განისაზღვრება ამ პირებზე კონტროლის პალატის მიერ დაწესებული შეზღუდვების ვადა; აღარ იარსებებს შეზღუდვები პირის მიერ საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვის გამო; პარტიებისათვის მოიხსნება შეზღუდვები შემოსავალზე; კონკრეტულად გაიწერება კონტროლის პალატის გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები; სანქციის გამოყენებისა და ყადაღის დადების წესი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ 100 ლარამდე საჩუქრის/მომსახურების გაწევის/მიღებისათვის აღარ დაწესდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (გამოიწვევს ადმინისტრაციული წესით დაჯარიმებას), ხოლო ამომრჩეველს აღნიშნულის მოთხოვნისათვის აღარ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობაში, მათ შორის საარჩევნო კოდექსში რჩება არაერთი პრობლემური დებულება, რომელიც სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით ცვლილებას საჭიროებს.

მნიშვნელოვანია **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის** სპეციალური მომხსენებლის შეფასება განხორციელებულ ცვლილებებთან მიმართებით. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ **„მმართველი პარტია გაიგივებული არ უნდა იყოს სახელმწიფოსთან და მას არ უნდა შეეძლოს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რაც უთანასწორო პოლიტიკური თამაშის ველს ქმნის პოლიტიკური პარტიებისათვის.“** ასევე, მოხსენებაში საუბარია **„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“** კანონის ცვლილებებზე, რომელიც შეზღუდვებს უდგენს ყველა პირს და მათთან „საქმიან ურთიერთობაში მყოფ პირებს“ მხოლოდ მათი პოლიტიკური მოსაზრებებისათვის, რაც არღვევს გაერთიანების თავისუფლებას და ქმნის პოტენციურ საფრთხეებს „ვოჩდოგი“ არასამთავრობოებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, ვინაიდან მათი საქმიანობა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს პოლიტიკურ საქმიანობად.“ [12]

წარმოდგენილ ანგარიშში საუბარია იმ ტენდენციებზე, რომლებიც გამოიკვეთა ბოლო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე და ხელი შეუწყო პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებული უთანასწორო გარემოს კიდევ უფრო გაღრმავებას.

III. ადმინისტრაციული რესურსი და წინასაარჩევნო პროცესები

საბიუჯეტო რესურსები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წინა წლებში განხორციელებული მონიტორინგების პრაქტიკის შესაბამისად, კვლავ დაინტერესდა საბიუჯეტო რესურსებით, რადგან ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო სხვადასხვა პროგრამის ინიცირების ტენდენცია წინასაარჩევნოდ, რომლებიც შესაძლოა უშუალოდ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს, თუმცა, თავისი არსით, წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას საარჩევნო მიზნებისათვის და არათანაბარ პირობებს ქმნის პოლიტიკური პარტიებისათვის.

იმისათვის, რათა განგვესაზღვრა, რამდენად კავშირში იყო ინიცირებული პროგრამები საარჩევნო წელთან, საიამ ყურადღება გაამახვილა 2011 წლის ბოლოსა და 2012 წლის დასაწყისში ინიცირებულ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროექტებზეც.

<u>სახელმწიფო ბიუჯეტი</u>

საქართველოს კანონით, საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ **შემოსავლები განისაზღვრა 6,839,399.4 ათასი ლარით**, ხოლო **ხარჯები 6,554,288.3 ათასი ლარით,** რაც აღემატება საქართველოს კანონით 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ დადგენილ **შემოსავლებსა** და **ხარჯებს.** 2011 წლისთვის ხარჯები **6,029,421.0 ათას ლარს** შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ **გაიზარდა ბიუჯეტის** „სხვა ხარჯის" კატეგორიით გათვალისწინებული თანხა, რომელმაც შეადგინა 1,077,783.9 ათასი, ლარი, განსხვავებით 2011 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხისა, რომელიც მხოლოდ 763,348.5 ათას ლარს შეადგენდა.

2012 წლის ბიუჯეტში, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდები კვლავაც 50-50 მლნ. ლარით განისაზღვრა, თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის ნორმები, რომლებიც განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის ფონდებს, არსებობის დღიდან არაერთ ცვლილებას დაექვემდებარა. უკანასკნელი ცვლილებებით, სარეზერვო ფონდების მიზანი უკიდურესად გაფართოვდა. ეს ქმნის საფრთხეს, რომ შესაძლოა, აბსოლუტურად უკონტროლო გახდეს ყველა შემოსულობის, გადასახდელისა და ნაშთის ცვლილებების სრულყოფილად ასახვა წლიურ საბიუჯეტო კანონში[13] და ამ ფონდებიდან, ძირითადად, ამომრჩეველზე ორიენტირებული ღონისძიებები დაფინანსდეს.

საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯების ზრდა რამდენიმე მიმართულებით მოხდა, კერძოდ: **სოციალური დაცვის (მათ შორის, საპენსიო უზრუნველყოფის), ინფრასტრუქტურის, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდების** განხრით.

[12] Statement by United Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association at the conclusion of visit to the Republic of Georgia, Tbilisi, 13 February 2012

[13] http://gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=691%3A2010-02-09-09-45-09&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

სახელმწიფო პროგრამები

2011 წლის ბოლოს და 2012 წლის დასაწყისში საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ იქნა არაერთი პროგრამა,[14]რომლებიც საქართველოს მოქალაქეებისათვის გარკვეული შეღავათებისა და ფულადი სახსრების გადაცემას გულისხმობდა.

მათ შორის:

- სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის გაცემის პროგრამა;
- სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე;[15]
- ელექტროენერგიის ვაუჩერის გაცემის პროგრამა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადებით, საქართველოს მასშტაბით 3400 სოფელში 800 000-მდე (24 მილიონი ლარის) ვაუჩერის გაცემა განხორციელდება.[16] საიას მიერ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციით (წერილი №010606/592 15.03.2012), საქართველოს მთავრობის №2588 2011 წლის 27 დეკემბრის განკარგულების მიხედვით, **„ერთჯერადი ღონისძიების** სახით შემოღებულ იქნა სოფლის საგაზაფხულო სამუშაოების ვაუჩერი, რომელიც ითვალისწინებს 30 ლარის ღირებულების საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ან სასუქის მიღებას ან ფულად გასაცემელს 30 ლარის ოდენობით. აღნიშნული პროექტის უზრუნველყოფისათვის თანხების გამოყოფა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროგრამის – „რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ათვისების ხელშეწყობის" (პროგრამული კოდი — 37 01 07) – ფარგლებში მოხდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 10.1.7 რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების ათვისების ხელშეწყობის (პროგრამული კოდი 37 01 07) მიხედვით, თუ კონკრეტულად რა ღონისძიება უნდა იქნეს გატარებული მიწების ათვისების ხელშეწყობისთვის, გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა დასაქმების პროგრამა „შუმმერ ჯობ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განცხადებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში 2012 წლის 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. პროექტის ფარგლებში ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება. თითოეული დასაქმებული სტუდენტის ანაზღაურებისთვის სახელმწიფოს მიერ 500 ლარია გამოყოფილი.[17] სტუდენტების რეგისტრაცია ელექტრონულად მიმდინარე წლის 20 მარტიდან 20 აპრილამდე უნდა განხორციელებულიყო, თუმცა, აღმოჩნდა, რომ სასწავლებლების თვითმმართველობები წინასწარ არეგისტრირებდნენ მათ მიერ არჩეულ სტუდენტებს საიტზე და მათ სიებს განათლების სამინისტროში აგზავნიდნენ,[18] რამაც სტუდენტთა ნაწილის პროტესტი გამოიწვია.[19] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ლოგო[20] ჰგავს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო ნომერს, რამაც შესაძლოა საზოგადოების თვალში სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული ღონისძიებების პარტიულ საქმიანობასთან გაიგივება გამოიწვიოს. მსგავსი ქმედება ეწინააღმდეგება 1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის[21] დოკუმენტის მე-5 მუხლს, რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, ნათელი ზღვარი გაავლონ სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების საქმიანობებს შორის, რათა არ მოხდეს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების აღრევა.[22]

სამწუხაროა, თუმცა ფაქტია, რომ ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივ გამოყენებას მხოლოდ ერთი კონკრეტული პოლიტიკური გაერთიანების სასარგებლოდ ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ 2012 წლის თებერვლის თვეში: აბრები წარწერებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის" 2012 წლის თებერვლამდე განთავსებული იყო ოზურგეთში, ზუგდიდსა და დუშეთში არსებული უფასო სასადილოების შესასვლელებში.

აღნიშნული ფაქტი ერთდროულად რამდენიმე კანონს ეწინააღმდეგება. კერძოდ, პოლიტიკურ პარტიას საქველმოქმედო საქმიანობა ეკრძალება და პოლიტიკური ნიშნით ამომრჩევლის მოსყიდვა სისხლის სამართლის დანაშაულია. [23]

უფასო სასადილოს პროექტები ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან ფინანსდება. ამ შემთხვევა-

---

[14] საიას მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია:
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო – 2012 წელში განსახორციელებელი ელექტროენერგიის ვაუჩერის გაცემის პროგრამის შესახებ; (22.02.2012);
- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – 2011-2012 წლებში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერის გადაცემის პროგრამის შესახებ; (22.02.2012);
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო – 2012 წელში განსახორციელებელი „სტუდენტთა დასაქმების პროგრამა საზაფხულო არდადეგებზე;" (22.02.2012);
- საქართველოს მთავრობა – 2011 წლის 01 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული განკარგულებების ასლები; (30.01.2012);
- საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია – პრეზიდენტის მიერ 2011 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე მიღებული განკარგულებები; (30.01.2012).

[15] http://www.summerjob.ge/text-10.html

[16] წყარო - რადიო „თავისუფლება" 2011 წლის 14 დეკემბრის სტატია „ვის სჭირდება 30 ლარიანი სასოფლო-სამეურნეო ვაუჩერი?"

[17] http://www.mes.gov.ge/content.php?id=3854&lang=geo

[18] http://commersant.ge/?id=7697

[19] http://opinion.ge/?p=8599

[20] http://summerjob.ge/

[21] http://www.transparency.ge/blog . „სტუდენტების წინასაარჩევნო დასაქმება" ლევან ნატროშვილი. 28 მარტი 2012 წ.

[22] ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (შემდგომში ეუოოს) ფარგლებში მიღებული დოკუმენტი

[23] http://transparency.ge/blog. ლევან ნატროშვილი, დავით მესხიძე. 1 მარტი 2012 წელი.

ში, დაუშვებელია სასადილოებზე პოლიტიკური პარტიის სახელის მოხსენიება. მიუღებელია, რომელიმე პოლიტიკურმა პარტიამ საბიუჯეტო ფინანსები არამიზნობრივად – საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. აღნიშნულ ფაქტზე შესაბამისი რეაგირების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურს მიმართა, თუმცა, ანგარიშის მომზადების დროისათვის აღნიშნული უწყებებიდან ორგანიზაციას კონკრეტული პასუხი არ მიუღია.[24]

მასშტაბური და ერთჯერადი ხასიათის მქონე კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა 2012 წლის 16 თებერვალს გააჟღერა, რომელიც მოსახლეობისათვის ელექტროვაუჩერების გადაცემას გულისხმობდა. მკაცრი ზამთრის პირობებიდან გამომდინარე, მოქალაქეებს გაუთვალისწინებელი პრობლემები შეექმნათ და, პრეზიდენტის განცხადებით, ვაუჩერების გაცემა სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურებოდა.[25] აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას ქ. თბილისის მერიის მიერ ინიცირებული პროექტებიდან ერთ-ერთი სწორედ მერიის მიერ კომუნალური გადასახადების თანაგადახდის ვაუჩერების გამოცემას ითვალისწინებდა.[26]

2012 წლის 28 თებერვალს, საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის დროს, საქართველოს პრეზიდენტმა ძირითადი აქცენტები დაგეგმილ პროექტებზე გააკეთა და რამდენიმე ინიციატივაც[27] გააჟღერა, კერძოდ:

- 1000 ლარიანი ვაუჩერები პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის;[28]
- ასაკით პენსიონერების ჯანმრთელობის დაზღვევა 2012 წლის სექტემბრიდან;
- 2013 წლის 1 იანვრიდან ერთჯერადი 1000 ლარიანი ვაუჩერი ყოველ ოჯახზე მესამე შვილის შეძენისას და მე-4 და მომდევნო შვილზე 2000 ლარიანი ვაუჩერი;
- 2013 წლის იანვრიდან მრავალშვილიანი ოჯახების შვილების დაზღვევა.

ქ. თბილისის ბიუჯეტი

თბილისის 2012 წლის ბიუჯეტის პირველადი ვერსიით, რომელიც თბილისის საკრებულომ 2011 წლის 25 ნოემბერს დაამტკიცა, დედაქალაქის **შემოსავლები განისაზღვრა 624,000,0 ათასი ლარის**, ხოლო **ხარჯები 436,628,2 ათასი ლარით.** 2012 წლის 23 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებით, **გაიზარდა ხარჯები და შეადგინა 437,263, 6 ათასი ლარი.** ცვლილებები შევიდა, ასევე, ბიუჯეტის **„სხვა ხარჯების"** კატეგორიით გათვალისწინებული თანხის ნაწილში და 146,640,7 ათასი ლარით განისაზღვრა.

ქ. თბილისის მერიის პროგრამები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ყურადღება გამახვილდა პროექტებზე, რომელთა ინიცირება 2011 წლის ოქტომბრიდან განხორციელდა და რომლებიც ქ.თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის გარკვეული შეღავათებისა და ფულადი სახსრების გადაცემას გულისხმობდა.

საიამ მერიიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია:

- პროგრამების შესახებ, რომლებიც ქ.თბილისის მერიის ინიციირებით დაიწყო 2011 წლის ოქტომბრიდან და დღემდე გრძელდება;
- სატრანსპორტო ვაუჩერის გაცემის პროგრამის შესახებ;
- არაასაკობრივი პენსიონერების დაზღვევის პროგრამის შესახებ.

ქ.თბილისის მერიამ (წერილები: №11/27139-7 5.03.2012, №11/15002-7 24.02.2012) 2011 წლის ოქტომბრიდან ინიცირებული პროგრამებისა და არაასაკობრივი პენსიონერების დაზღვევის შესახებ ინფორმაცია არ მოგვაწოდა და მიგვითითა, რომ აღნიშნული ინფორმაცია განთავსებულია ქ. თბილისის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.tbilisi.gov.ge, 2012 წლის ბიუჯეტში, თუმცა, მერიის საიტზე ამ პერიოდისათვის 2012 წლის ბიუჯეტი ატვირთული არ ყოფილა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა ფორმით არსებობს.[29] შესაბამისად, ქ.თბილისის მერიის პასუხი გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით (წერილები გ-05/10-12 19.03.2012, გ-05/04-12 27.02.2012).

---

[24] http://transparency.ge/blog. ლევან ნატროშვილი, დავით მესხიძე. 1 მარტი 2012 წელი.

[25] წყარო www.netgazeti.ge 2012 წლის 17 თებერვალი, „პრეზიდენტის ახალი ინიციატივა – მოსახლეობას ელექტროვაუჩერები დაურიგდება"

[26] საიას მონიტორინგის ანგარიში 2010 წლის 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით.

[27] საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა საქართველოს პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშის წარდგენისას (დრო: 0:15:30 – 0:32:39) http://www.youtube.com/watch?v=mvbr648RUyE&feature=related

[28] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით (წყარო – www.interprssnews.ge 29.02.2012), მთლიანობაში 1000 ლარიანი ვაუჩერის გაცემისათვის, რომელიც სამ ეტაპად განხორციელდება (პირველი ეტაპი – 25 აპრილიდან დაიწყება და 1500 ვაუჩერი დარიგდება, მეორე – ივნისში განხორციელდება და 2500 ვაუჩერის დარიგებას მოიცავს, ხოლო მესამე ეტაპი სექტემბერში დაიწყება და 3000 ვაუჩერი დარიგდება) ბიუჯეტიდან 7 მილიონი ლარია გამოყოფილი.

[29] ზაკ-ის 37-ე მუხლი.

ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზი:

პროექტის მიმდინარეობისას შესწავლილ იქნა თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და გორის მუნიციპალიტეტების 2012 წლის ბიუჯეტები და შესაბამისი საბიუჯეტო პროგრამები. მონიტორინგის მიზანს წარმოადგენდა იმის გარკვევა, იკვეთებოდა თუ არა წინასაარჩევნოდ გარკვეული ტენდენციები ადგილობრივ ბიუჯეტებში. კერძოდ, ხდებოდა თუ არა საარჩევნო წელს ბიუჯეტებში თანხების მიმართვა საარჩევნო მიზნებისთვის და რა მოცულობით. პროექტის მიმდინარეობისას საიას მიერ გამოთხოვნილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- თვითმმართველი ქალაქების/მუნიციპალიტეტების 2012 წლის ბიუჯეტები, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების და შესაბამისი სამუშაოების შესრულების ამსახველი დოკუმენტების ასლები;
- შესაბამის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის 2012 წლის ბიუჯეტი და შესაბამისი სამართლებრივი და ფინანსური დოკუმენტაცია;
- ინფორმაცია, თუურა სამუშაოები ჩატარდა და რა თანხა დაიხარჯა 2012 წლის საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით;
- სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის აპარატსა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში მომუშავე თანამშრომელთათვის 2012 წლის პირველ სამ თვეში გაცემული ხელფასებისა და პრემიების ამსახველი დოკუმენტების ასლები.

სრულყოფილი სურათის გამოსარკვევად, გაკეთდა ასევე 2012 წლის მონაცემების შედარებითი ანალიზი 2010 და 2011 წლის საბიუჯეტო პარამეტრებთან.

ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზისას, შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:

- *2012 წლის ბიუჯეტებით, გამოვლინდა ცალკეული პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა წლების ბიუჯეტებთან შედარებისას – წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია* ***სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების დაფინანსებაც; ნარჩენების გატანისა და ქუჩების დასუფთავების პროგრამა, გარე განათების პროგრამები;*** *ბიუჯეტების ანალიზისას შეინიშნება თვითმმართველობაში დასაქმებულ თანამშრომელთა* ***შრომითი ანაზღაურების*** *ზრდაც;*
- *ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხდება მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა ისეთი* ***ახალი ღონისძიების*** *დასაფინანსებლად, რომელიც საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული 2010 და 2011 წლების ბიუჯეტებში. ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი პროექტების* ***გათვალისწინება****, რომელთა დაფინანსებაც მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებში მოხდა და არანაირი დაფინანსება არ ყოფილა გამოყოფილი არასაარჩევნო 2011 წლის ბიუჯეტით.*

2012 წლის ადგილობრივი ბიუჯეტებით, გაზრდილია **სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება.** აღნიშნულ ფაქტს ადგილი აქვს საიას მიერ შესწავლილი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და გორის ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზისას.

თბილისის ბიუჯეტის მაგალითზე, გაზრდილია მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამით გამოყოფილი თანხები. 2012 წელს, აღნიშნული მიზნით, 33 900,0 ლარია გამოყოფილი, რაც 20 414, 5 ლარით აღემატება 2011 წელს ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით გამოყოფილ სახსრებს და 6 842, 8 ლარით მეტია 2010 წელთან შედარებით.

ქუთაისის ბიუჯეტის მაგალითზე, სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებიდან გამოიყოფა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა. გაზრდილია პროგრამით გათვალისწინებული ლიმიტები და ბენეფიციართა რაოდენობა: თუ 2010 და 2011 წლებში მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემოდა მაქსიმუმ 100 ლარიანი ტალონი, 2012 წელს ეს ლიმიტი 200 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით ხდება ბენეფიციართა 50%-იანი თანადაფინანსება ქუთაისის ბიუჯეტიდან: თუ 2010-2011 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობას ეხმარებოდა 700 ლარი ლიმიტის ფარგლებში, 2012 წელს აღნიშნული ლიმიტი 1000 ლარამდე გაიზარდა. ქუთაისის ბიუჯეტის ანალიზისას, გამოიკვეთა ასევე სოციალური ღონისძიებების პროგრამები, რომლებიც წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი.

2011 წელთან შედარებით გაზრდილია გორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებიც. აღნიშნული მიმართულება, 2010 წლის ბიუჯეტთან შედარებით, გაზრდილია 231,300 ლარით, ხოლო 2011 წლის მონაცემებთან შედარებით – 65,700 ლარით.

ბათუმის ბიუჯეტის მაგალითზეც, სოციალური დაცვის პროგრამები, სხვა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. თვითმმართველი ქალაქი ბათუმის ბიუჯეტში სოციალური დაცვის პროგრამის განსახორციელებლად 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 9,721,100 ლარი რაც 2011 წლის მონაცემებს 6,622,500 ლარით აღემატება. ქ. ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტი ჯანმრთელობის დაცვის კუთხითაც მნიშვნელოვნად გააქტიურდა. ისევე, როგორც ქუთაისში, ბათუმის ბიუჯეტითაც გაიზარდა სხვადასხვა ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა, ასევე, ჯანმრთელობის დაცვის პროგრამას დაემატა ახალი სფერო — სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება, რომლისთვისაც ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 148,300 ლარი. ბათუმის ბიუჯეტის მაგალითზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა თანხები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელთა სამედიცინო დაზღვევისათვის. ბათუმის ბიუჯეტში სოციალური მიმართულების თანხებიდან იგეგმება სოციალური სახლის მშენებლობა, რომლისთვისაც ბიუჯეტიდან გამოყოფილია 6,000,000 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტებით გაზრდილია ასევე **განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამების** დაფინანსებაც. უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის 2012 წლის ბიუჯეტი კულტურული და სპორტული ღონისძიებების განსახორციელებლად საბიუჯეტო რესურსებს არ იშურებს. მოცემული პროგრამისათვის 2012 წლისათვის გათვალისწინებულ იქნა 15,841,500 ლარი, რაც 2011 წლის მონაცემებს 4,457,600 ლარით აღემატება. ინტერესს იწვევს აღნიშნული პროგრამების დაფინანსების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა. მაგალითად, ახალგაზრდობის საქმეთა პროგრამები ბათუმის ბიუჯეტიდან ფინანსდება 450,000 ლარით, მაგრამ საბიუჯეტო დოკუმენტში არ არის მითითებული ღონისძიება, რომელიც აითვისებს აღნიშნულ თანხებს. ხოლო მოცემული ზოგადი ხასიათის განმარტება არის საკმაოდ ბუნდოვანი და დაინტერესებულ პირთათვის ძნელად აღსაქმელი.

ბიუჯეტების ანალიზისას შეინიშნება თვითმმართველობაში დასაქმებულ თანამშრომელთა **შრომითი ანაზღაურების ზრდაც**. იმ ფონზე, როდესაც დასაქმებულთა რაოდენობა 2012 წელს არც ბათუმის საკრებულოსა და არც მერიაში არ შეცვლილა, მერიის თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება 868,800 ლარით, ხოლო საკრებულოს თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურება 9,000 ლარით გაიზარდა.

მართალია გასულ წლებთან შედარებით არ გაზრდილა სახელფასო ხარჯები გორის მუნიციპალიტეტში, თუმცა, მიმდინარე წელს ყოველთვიურად ხელფასთან ერთად თანამშრომლებისთვის გაიცემა პრემიაც, რაც თითქმის ხელფასის ოდენობის იდენტურია. გაურკვეველია, თუ რა გარემოების გამო მოხდა პრემიების გაცემა. გარდა მუნიციპალიტეტის თითოეულ თანამშრომელზე თითქმის ხელფასის ოდენობის პრემიების გაცემისა, შესაბამისი თვითმმართველობის ორგანოს აქტებით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამშრომლებზე, მათ შორის საკრებულოს თავმჯდომარესა და მის მოადგილეზე, გამგებელსა და გამგეობის აპარატის თანამშრომლებზე, მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისა და პირადი წვლილის შეტანისათვის, წახალისების ფორმის – ჯილდოს სახით 2012 წლიდან დღემდე ჯამში 43,395 ლარია გაცემული.

2012 წლის ბიუჯეტებით, გამოიკვეთა ცალკეული პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა წლების ბიუჯეტებთან შედარებით. მაგალითად, არასაარჩევნო წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაზრდილია პროგრამა „კორპუსის“ დაფინანსება ქუთაისის ბიუჯეტიდან. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება გორის ბიუჯეტიდანაც. მაშინ, როდესაც ბათუმის ბიუჯეტით ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის თანხები ნაკლებად არის გამოყოფილი, ხელვაჩაურის ბიუჯეტით მნიშვნელოვნად გაზრდილია საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთების პროგრამა. აღნიშნული სამუშაოების დასაფინანსებლად 2012 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულა 300,000 ლარი, რაც წინა წლის ასიგნებებს 120,000 ლარით აღემატება. ადგილობრივი ბიუჯეტებით გაზრდილია ნარჩენების გატანისა და ქუჩების დასუფთავების პროგრამა, გარე განათების პროგრამა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალაქის გამწვანების, მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის პროგრამაში გამოყოფილი თანხების ზრდა ქუთაისის ბიუჯეტის მაგალითზე: თუ 2010 წელს 115,800 ლარი, ხოლო 2011 წელს 171,500 ლარი იქნა დახარჯული ამ პროგრამის ფარგლებში, 2012 წელს იგეგმება 917,500 ლარის ოდენობის თანხის გამოყოფა. გაზრდილია დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის შევსების ხარჯი გორის ბიუჯეტში.

მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პარკების, სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის, ქალაქის გაფორმების, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მაგალითად, პარკების, სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის 2012 წელის ბათუმის ბიუჯეტში განსაზღვრულია 7,342,000 ლარი, რაც 2011 წლის ასიგნებებს 3,488,800 ლარით აღემატება. დაფინანსება გაიზარდა ქალაქის გაფორმების სამუშაოებისათვის და 2012 წლის მონაცემებმა 3,017,900 ლარი შეადგინა, მაშინ, როდესაც 2011 წელს იგი არ აღემატებოდა 2,330,900 ლარს.

ადგილობრივი ბიუჯეტების გაანალიზების დროს კიდევ ერთ საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. ეს არის ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ისეთი ახალი ღონისძიების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფა, რომელიც 2011 წელს საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული 2010 და 2011 წლების ბიუჯეტებში. მაგალითად, ახალი ღონისძიებაა სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება, რომლისთვისაც ბათუმის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნა 148,300 ლარი, ასევე, ერთჯერადი სოციალური დახმარების პროგრამა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში.

ადგილობრივი ბიუჯეტების ანალიზისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ისეთი პროექტების განხორციელება, რომელთა დაფინანსებაც მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებში მოხდა და არანაირი დაფინანსება არ ყოფილა გამოყოფილი 2011 წლის ბიუჯეტით. ასეთია, მაგალითად, ეზოებში საბავშვო ატრაქციონების დამონტაჟებისთვის ქუთაისის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 300,000 ლარი; სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გათვალისწინებული ხარჯი გორის ბიუჯეტში, რომელიც მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებშია დაფინანსებული, განსხვავებით 2011 წლისგან, როდესაც ბიუჯეტიდან აღნიშნული მიმართულებისთვის არანაირი თანხა არ ყოფილა გამოყოფილი; მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები ქუთაისში. მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ძირითადი ნაწილი ქუთაისში დაფინანსდა 2010 წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელს და იგეგმება 2012-ში – საპარლამენტო არჩევნების წელს.

2011 წლის ბოლოსა და 2012 წლის დასაწყისში ინიცირებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საბიუჯეტო პროექტების, ასევე, ადგილობრივი ბიუჯეტების ცალკეული პროგრამების ანალიზის შედეგად, შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

2011 წლის ბოლოს და 2012 წლის დასაწყისში ადგილი აქვს ხელისუფლების მიერ მასშტაბური ერთჯერადი საბიუჯეტო პროგრამების განხორციელებას, რომელიც, თავისი არსით, ბევრ კითხვას ბადებს. შესაძლოა,

ამ წამოწყებების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სახელმწიფო რესურსებით საარჩევნო ამოცანების მიღწევა იყოს. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. ერთჯერადი ხასიათის პროექტები მნიშვნელოვან საბიუჯეტო რესურსს მოითხოვს, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში მისი ეფექტიანობა ნაკლებადაა დასაბუთებული. ამასთანავე, ეს ინიციატივები სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარს აფერმკრთალებს, რითაც ირღვევა ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები. ხელისუფლების მიერ მსგავსი მასშტაბური პროექტები რატომღაც ყოველთვის წინასაარჩევნო პერიოდში ხორციელდება.[30]

მასშტაბური ერთჯერადი საბიუჯეტო პროგრამების ინიცირების ტენდენცია და მათი განხორციელება წინასაარჩევნოდ, შესაძლოა უშუალოდ არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის კონკრეტულ ნორმებს, თუმცა, თავისი არსით, საბიუჯეტო სახსრების გამოყენებას წარმოადგენს საარჩევნო მიზნებისათვის და არათანაბარ პირობებს ქმნის პოლიტიკური პარტიებისათვის.

2012 წლის ბიუჯეტებით, იკვეთება ცალკეული პროგრამების დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდა, რასაც ადგილი არ ჰქონია წინა წლების ბიუჯეტებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ გაზრდილი პროგრამების ძირითადი ნაწილი ამომრჩეველთა სერვისთან არის დაკავშირებული და მათი კმაყოფილების დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. აღნიშნული კი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საფუძველი შეიძლება გახდეს წინასაარჩევნოდ.

ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ხდება ისეთი ახალი ღონისძიების დასაფინანსებლად მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფა, რომელიც საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული 2010 და 2011 წლების ბიუჯეტებში, რაც გარკვეულ კითხვებს ბადებს; ასევე ადგილობრივი ბიუჯეტებით ადგილი აქვს ისეთი პროექტების გათვალისწინებას, რომელთა დაფინანსებაც მხოლოდ და მხოლოდ საარჩევნო – 2010 და 2012 – წლებში მოხდა და არანაირი დაფინანსება არ ყოფილა გამოყოფილი არასაარჩევნო 2011 წლის ბიუჯეტით.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებით, ხელი ეშლება საქართველოში სამართლიანი და პოლიტიკური გაერთიანებისთვის თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას და იქმნება წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენების რისკები. მნიშვნელოვანია, საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინოს კეთილი ნება, წინასაარჩევნოდ არ განახორციელოს ისეთი ერთჯერადი და სპონტანური საბიუჯეტო პროექტები და, ამ გზით, პოლიტიკური გაერთიანებებისთვის თანაბარი პირობები უზრუნველყოს.

IV. კონტროლის პალატა

2011 წლის დეკემბრის ბოლოს პარტიების დაფინანსების კუთხით განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა სრულიად ახალი — პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების მონიტორინგის უფლებამოსილებით აღიჭურვა, რაც განსხვავდება კონტროლის პალატის კონსტიტუციური უფლებამოსილებისგან – ზედამხედველობა გაუწიოს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას და შეამოწმოს საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობა.

საქართველოს კონტროლის პალატა კონსტიტუციური ორგანოა. მის კონსტიტუციურ უფლებამოსილებას წარმოადგენს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვაზე ზედამხედველობის გაწევა და საფინანსო-სამეურნეო კონტროლის სხვა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის შემოწმება.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კონტროლის პალატა სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანოა, რომელიც აუდიტს ახორციელებს.[31] კონტროლის პალატის საქმიანობის ძირითადი მიზნებია, ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვას და ეფექტიანობას, ეროვნული სიმდიდრის, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების საკუთრების დაცვას, ასევე, საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.[32] კონტროლის პალატა: ა) ახორციელებს აუდიტს მისთვის საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში და ბ) უფლებამოსილია ჩაატაროს ექსპერტიზა და გასცეს დასკვნები საფინანსო და ეკონომიკური სფეროების მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების პროექტებზე, ასევე იმ პროგრამებზე, რომელთა დასაფინანსებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების სახსრების გამოყენება ან რომლებიც გავლენას ახდენს ამ სახსრების ფორმირებაზე, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტს, სხვა შესაბამის ორგანოებსა და დაწესებულებებს წარუდგინოს საგადასახადო კანონმდებლობის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემასა და სრულყოფასთან დაკავშირებული წინადადებები.[33]

2011 წლის დეკემბრის ბოლოს ,,კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, კონტროლის პალატას დაემატა ახალი უფლებამოსილება, კერძოდ, *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი,* საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. იგი უფლებამოსილია, ჩაატაროს აუდიტი,

[30] http://www.transparency.ge/blog

[31] „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 3. 26.12.2008.

[32] „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 4. 26.12.2008.

[33] „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 6. 26.12.2008.

ყადაღა დაადოს ფიზიკური პირების, იურიდიული პირების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), შეადგინოს სამართალდარღვევის შესახებ ოქმი და მიიღოს შესაბამისი დადგენილება. [34]

2011 წლის 28 დეკემბერს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, კონტროლის პალატა საკმაოდ ფართო უფლებამოსილებით აღიჭურვა. კერძოდ, პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგის განხორციელების მიზნით, საქართველოს კონტროლის პალატა უფლებამოსილი გახდა:

ა) შეიმუშაოს პარტიის წლიური საფინანსო დეკლარაციის ფორმა;

ბ) დაადგინოს პარტიის დაფინანსების აუდიტის სტანდარტები;

გ) შეამოწმოს პარტიის საფინანსო დეკლარაციისა და საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის სისრულე, სისწორე და კანონიერება;

დ) ჩაატაროს პარტიის ფინანსური საქმიანობის აუდიტი;

ე) უზრუნველყოს პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობა;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, პარტიიდან, ადმინისტრაციული ორგანოებიდან და კომერციული ბანკებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, პირებისგან მოითხოვოს ინფორმაცია მათ მიერ პარტიებისა და ამ კანონის 26^1 მუხლით განსაზღვრული პირებისთვის გადაცემული ან მათგან მიღებული ქონების წარმომავლობის შესახებ;

თ) დაინტერესებულ პირებს გაუწიოს კონსულტაცია პარტიის დაფინანსების საკითხებზე;

ი) მოახდინოს რეაგირება პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე და გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

კ) დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, მიმართოს პროკურატურის ორგანოებს.[35]

ამასთანავე, კანონით განისაზღვრა, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს კონტროლის პალატა უზრუნველყოფს:

- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პარტიების ფინანსურ მდგომარეობასა და შემოწირულობების განხორციელებასთან დაკავშირებული მონაცემების გამჭვირვალობის წესის დადგენას;
- პარტიის წლიური საფინანსო დეკლარაციის ფორმის შემუშავებას და პარტიის დაფინანსების აუდიტის სტანდარტების დადგენას;
- პარტიის საფინანსო დეკლარაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის ყველა დაინტერესებული პირისათვის მიწოდებას, აგრეთვე, დეკლარაციის შესაბამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას, მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

ცვლილებებით დადგინდა კონტროლის პალატის წინაშე პარტიების ანგარიშგების ვალდებულება. კერძოდ, პარტია ყოველი წლის 1 თებერვლამდე საქართველოს კონტროლის პალატას უგზავნის გასული წლის საფინანსო დეკლარაციას აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნასთან ერთად, ხოლო არჩევნების დანიშვნის დღიდან სამ კვირაში ერთხელ ყველა პარტია, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ დამოუკიდებლად ან საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში, საქართველოს კონტროლის პალატას წარუდგენს ფინანსურ ანგარიშს კონტროლის პალატის მიერ დადგენილი ფორმით.

განისაზღვრა საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილება:

ა) ყადაღა დაადოს პარტიის, ფიზიკური ან/და იურიდიული პირის ქონებას (მათ შორის, საბანკო ანგარიშებს), რაც, სამართალდარღვევის თაობაზე მიღებულ დადგენილებასთან ერთად, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში;

ბ) კანონის 34^2 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე შეადგინოს ოქმი და მიიღოს დადგენილება შესაბამისი სახდელის შეფარდების თაობაზე.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ კანონში შესულმა ბუნდოვანმა რეგულაციებმა, ცალკეულ შემთხვევაში კი, ძალიან ფართო ცნებებმა, კონტროლის პალატა აღჭურვა ულიმიტო უფლებამოსილებით. კანონმა არ განსაზღვრა ცალკეული გადაწყვეტილებების მიღების პირობები, წესი და შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების ფარგლები; კანონმა არ დაადგინა ის ცალკეული კრიტერიუმი თუ პირობა, რაც შებოჭავდა კონტროლის პალატის უფლებამოსილებას კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგალითად, ცვლილებებით არ მომხდარა პროცედურის გაწერა, რის საფუძველზეც კონტროლის პალატა მიიღებდა გადაწყვეტილებას სუბიექტის „დაკავშირებულ პირად“ მიჩნევის თაობაზე, თანახმად მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 26 პრიმა მუხლისა; კანონმა არ განსაზღვრა, თუ რა საფუძვლით, რა შემთხვევებში შეიძლებოდა, კონტროლის პალატას მიემართა კონკრეტული პირისთვის ცალკეული ინფორმაციის მიღების მიზნით, ან რა შემთხვევაში შეეძლო, პარტიიდან, ადმინისტრაციული ორგანოებისა და კომერციული ბანკებიდან გამოეთხოვა ინფორმაცია პარტიის ფინანსებთან დაკავშირებით; კანონმა შექმნა მატერიალურ საფუძვლები და მიანიჭა კონტროლის პალატას უფლებამოსილება, ყადაღა დაედო პირის ქონებისათვის და მოეხდინა მისი თითქმის მთელი ქონების დაყადაღება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. შესაბამისი პროცედურული გარანტიების არარსებობის პირობებში კონტროლის პალატას მიენიჭა განუზომელი უფლე-

[34] „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-17 მუხლის 2^1 პუნქტი. 26.12.2008.
[35] 34^1 მუხლი.

ბამოსილება, მიეღო სუბიექტური გადაწყვეტილებები და, ნებისმიერ შემთხვევაში, გამოეყენებინა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.[36] კანონის მოქმედმა რედაქციამ არ გაითვალისწინა აღნიშნული თვითნებობის ლიმიტირების ლეგალური საშუალებები: „კანონი კონტროლის პალატას აძლევს ექსტრაორდინალურ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რათა საკუთარი შეხედულებებისა და არა დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ყოველგვარი ნათელი კრიტერიუმებისა თუ გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობის გარეშე, გადაწყვიტოს, არის თუ არა იურიდიული თუ ფიზიკური პირი „დაკავშირებული" პოლიტიკურ პარტიასთან."[37]

2011 წლის 30 დეკემბრის ცვლილებებით კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებს დაემატა პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური. პარტიის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახური ,,საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით" და ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული მიზნებისა და მოთხოვნების შესაბამისად უფლებამოსილი გახდა განახორციელოს პარტიის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და შემოწმება; ბ. უზრუნველყოს პარტიის დაფინანსების გამჭვირვალობა; გ. დაინტერესებულ პირებს გაუწიოს კონსულტაცია პარტიის დაფინანსების საკითხებზე; დ. უზრუნველყოს შესაბამისი რეაგირება პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევაზე;[38] თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადებითა და მიღწეული შეთანხმებით აღმოიფხვრება კანონში არსებული საფრთხეები და პრობლემური საკითხები.

კონტროლის პალატის პოლიტიკური დაფინანსების სრული გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ეგიდით განხორციელებული საქმიანობა

2012 წლის მარტში პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით დაფინანსების ფაქტზე კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებასთან დაკავშირებით, კონტროლის პალატამ ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ღონისძიება განახორციელა. საქართველოს კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ 2012 წლის 12 მარტიდან თითქმის ორი კვირის განმავლობაში დღემდე საქართველოს რეგიონებში, კერძოდ ჩვიდმეტამდე მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრთა, მოხალისეთა თუ მოქალაქეთა მასობრივი დაბარება და ახსნა განმარტების ჩამორთმევა მოხდა.[39] საიას ხელთ არსებული მონაცემებით, საქართველოს კონტროლის პალატამ რეგიონებში სულ **227** მოქალაქე ახსნა განმარტების ჩამოსართმევად დაიბარა. დაბარებულ იქნენ არა მხოლოდ გაცხადებული პოლიტიკური კუთვნილების მქონე პიროვნებები, არამედ ის პირებიც, რომლებიც ოპოზიციის მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ.

აღნიშნულის პარალელურად, კონტროლის პალატის ინიციატივით დაწყებულ იქნა გამოძიება ადმინისტრაციულ წარმოებაში მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტზე და პირები, რომლებიც არ გამოცხადდნენ კონტროლის პალატის უწყებების საფუძველზე და არ მისცეს ახსნა-განმარტება წარმოებასთან დაკავშირებით, მოწმის სტატუსით დაიკითხნენ შსს-ს რაიონულ სამმართველოებში.[40] საიას ინფორმაციით, მოწმის სტატუსით პოლიციის ადგილობრივ სამმართველოებში სულ **21 მოქალაქე** დაკითხეს.[41]

საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ათეულობით მოქალაქე კონტროლის პალატამ იდენტური შინაარსის უწყებებით ახსნა-განმარტების მისაცემად დაიბარა. საქართველოს კონტროლის პალატამ ოფიციალური განცხადება მასობრივ დაბარებებთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გააკეთა.[42] კონტროლის პალატის ოფიციალური განცხადების თანახმად, წლიურ საფინანსო დეკლარაციების აუდიტის პროცესში დადგენილ იქნა, რომ ორგანიზაცია „ქართული ოცნების" მიერ გაწეული ხარჯები (სახელფასო, რემონტის, ოფისის იჯარის და ა.შ.) არ იყო ასახული კონტროლის პალატაში წარდგენილ დეკლარაციებში. სწორედ აღნიშნული მიზნით მიმდინარეობდა იმ პირთა გამოკითხვა, რომელთაც, კონტროლის პალატის მოსაზრებით, ჰქონდათ ინფორმაცია ზემოაღნიშნულ ხარჯებთან დაკავშირებით, რათა, მათივე თქმით, დადგენილიყო გაწეული ფაქტობრივი ხარჯები და მომხდარიყო აღნიშნული ხარჯების გამჭვირვალობა – „ჩვენი მიზანია უზრუნველვყოთ პოლიტიკური დაფინანსების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე."[43]

მიუხედავად იმისა, რომ უწყების თანახმად, მოქალაქეები დაიბარეს იმ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც პოლიტიკური სუბიექტების მოჩვენებითი, თვალთმაქცური გარიგების გზით დაფინანსების ფაქტზე კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში მიმდინარეობდა, აღნიშნულ წარმოებასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა და ბუნდოვანება, რომლის თაობაზეც, მიუხედავად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა, არ მომხდარა ფართო საზოგადოების ინფორმირება:

---

[36] არასამთავრობო ორგანიზაციების საკანონმდებლო წინადადება,წარდგენილი საქართველოს პარლამენტში 2012 წლის 17 თებერვალი.
[37] Statement by the United Nations Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association at the conclusion of his visit to the Republic of Georgia. Tbilisi, 13 February 2012
[38] კონტროლის პალატის რეგლამენტი. მე-7 მუხლი, მე-9 პუნქტი.30.12.2011.
[39] გურიაში (ლანჩხუთი, ჩოხატაური, ოზურგეთი); აჭარაში (ბათუმი, ხელვაჩაური, ქობულეთი); სამეგრელო-ზემო სვანეთში (ფოთი, ზუგდიდი); იმერეთში (ქუთაისი, ზესტაფონი); შიდა ქართლში (გორი, ქარელი, კასპი); კახეთში (გურჯაანი, საგარეჯო, სიღნაღი, ყვარელი, დედოფლისწყარო, თელავი).
[40] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებს 94 მოქალაქის ინტერესების დაცვას კონტროლის პალატის ადმინისტრაციულ წარმოებაში და სისხლის სამართლის საქმეზე.
[41] დანართის სახით იხ. დიაგრამები.
[42] *http://www.control.ge/news/id/427* კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადება. 14.03.2012
[43] *http://www.control.ge/news/id/427* კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის განცხადება. 14.03.2012

- რომელ პოლიტიკური სუბიექტებთან დაკავშირებით არის დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება კონტროლის პალატის ფინანსური მონიტორინგის სამსახურში;
- კონკრეტულად რომელ ფაქტზეა დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
- ნორმა, რომლის თანახმადაც, დაბარებული პირები ვალდებულნი არიან, ახსნა-განმარტება მისცენ კონტროლის პალატის უფლებამოსილ წარმომადგენელს;
- რა სამართლებრივი სტატუსით დაიბარეს მოქალაქეები ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად;
- ოფიციალურად რამდენ მოქალაქეს გაეგზავნა უწყება მიმდინარე წარმოებასთან დაკავშირებით;
- რამდენ მოქალაქეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება და რამდენი მოქალაქეა დღეის მდგომარეობით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული;
- დგებოდა თუ არა ახსნა-განმარტების ჩამორთმევისას სხდომის ოქმები;
- ახსნა-განმარტების ჩამორთმევაზე კონტროლის პალატის უფლებამოსილ პირთა რაოდენობა, ვინაობა და მათი თანამდებობრივი სტატუსი;
- ინფორმაცია იმის შესახებ, კონტროლის პალატის წარმომადგენელთა გარდა ესწრებოდნენ თუ არა ახსნა-განმარტების ჩამორთმევას სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები;
- კონტროლის პალატის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიების დაწყების სამართლებრივი საფუძველი;
- ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში მიმდინარე წარმოებასთან დაკავშირებით;
- არსებობდა თუ არა კონტროლის პალატის სპეციალური მიმართვა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის იმ ადმინისტრაციული შენობების დაცვის უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ, რომლებშიც მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წარმოება;
- რა აქტით იყო დადგენილი გადაადგილების შეზღუდვა ადმინისტრაციულ შენობებში;
- შესაბამისი პროცედურა, რის საფუძველზეც უნდა ეხელმძღვანელა დაცვის პოლიციას ჩხრეკის ჩატარებისას;
- ნივთების ჩამორთმევის წესი პირადი შემოწმებისას.

საიასათვის გაგზავნილი წერილით (№74/26 30.03.2012), საქართველოს კონტროლის პალატა იუწყება, რომ მიმდინარე წარმოებასთან დაკავშირებით უწყება დაეგზავნა **370** ადამიანს, ხოლო ახსნა-განმარტება ჩამოერთვა **295** ადამიანს. აღნიშნული წერილითვე, კონტროლის პალატა ადასტურებს, რომ არც ერთი მოქალაქე არ არის მიცემული ადმინისტრაციულ პასუხისგებაში; ახსნა-განმარტებას ახორციელებდნენ კონტროლის პალატის ექსპერტ-ანალიტიკოსები და აღნიშნული პროცესს არ ესწრებოდნენ სხვა პირები.[44]

დაბარებულ პირებს უწყებით განემარტებოდათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გარანტირებული უფლებები და მოვალეობები, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს გააჩნია. უწყებაში მითითებული იყო, რომ კონტროლის პალატის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა ისჯებოდა კანონით. თუმცა, არ იყო დაკონკრეტებული რომელი კანონის საფუძველზე და რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დაკისრებოდა ვალდებულების დამრღვევ პირს.

ახსნა-განმარტების ჩამორთმევისას, კონტროლის პალატის თანამშრომლები დაბარებულ მოქალაქეებს არ აწვდიდნენ სრულყოფილ ინფორმაციას, თუ რა სახის სამართალდარღვევის ფაქტზე იყვნენ ისინი დაბარებულნი, ვის მიმართ იყო დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება კონტროლის პალატაში და, რაც მთავარია, რაში მდგომარეობდა მოქალაქეთა მიერ კანონის დარღვევა, რაც შეიძლება მათი პასუხისმგებლობის საფუძველი გამხდარიყო. საიას ადვოკატების განცხადებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისათვის არ მიუციათ კონკრეტული განმარტება იმ ეჭვების, სავარაუდო უკანონო ქმედებებისა თუ დარღვევების თაობაზე, რაც მათ დაბარებას გაამართლებდა. პირიქით, კონტროლის პალატის თანამშრომლები მოქალაქეებს უმარტავდნენ, რომ ისინი არ იყვნენ რაიმე სახის პასუხისგებაში მიცემულნი, თუმცა, ავალდებულებდნენ, მიეცათ ახსნა-განმარტება არა მხოლოდ მათ მიერ პარტიის სასარგებლოდ განხორციელებული შეწირულობის ან პარტიიდან მიღებული სარგებლის, არამედ მათი და მათი ოჯახის წევრების შემოსავლების თუ მათი პოლიტიკური აქტივობების შესახებ, რაც ცალსახად გასცდა კონტროლის პალატაში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზანს. „ოპოზიციური პარტიების წევრთა და სავარაუდო მხარდამჭერთა ფართომასშტაბიანი დაბარება, რათა მათ პასუხი გასცენ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებების და საქმიანობის შესახებ კითხვებს, ქმნის მსუსხავ ეფექტსა და გამოხატვისა და შეკრებების თავისუფლების დარღვევის რისკს.“[45]

კონტროლის პალატის წარმომადგენელთა ქმედებები შეიცავდა ასევე უფლებამოსილებათა გადამეტების ფაქტებს. უწყების თანამშრომელთა მიერ დასმული შეკითხვები ფინანსური ხასიათის საკითხების გარდა შეეხებოდა აგრეთვე მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობების დეტალებსა და კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან მათი თანამშრომლობის მიზეზებს. კონტროლის პალატის მიერ განხორციელებულო ქმედებები, რომელიც მიზნად ისახავდა პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესწავლას, გასცდა კანონმდებლობის თანახმად, კონტროლის პალატისათვის მინიჭებული მანდატის ფარგლებს და შეიძინა მოქალაქეთა პოლიტიკური ნიშნით მასობრივი დევნის სახე. „მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წევრთა და სავარაუდო მხარდამჭერთა შერჩევითი დაკითხვა, დაკითხვების წარმოების მანერა, დასმული შეკითხვების ხასიათი და დაბარებული

[44] საქართველოს კონტროლის პალატის წერილი საიას №74/26. 30.03. 2012
[45] http://www.amnesty.org/en/region/georgia viewed on March 16, 2012.

ადამიანების აბსოლუტური რაოდენობა მიუთითებს, რომ პროცესი პოლიტიკურად მოტივირებულია და ოპოზიციური პარტიის ამჟამინდელი და პოტენციური მომხრეების დაშინებას ისახავს მიზნად.[46]

არასამთავრობო ორგანიზაციამ „„Aმნესტყ Iნტერნატიონალ„„ უარყოფითად შეაფასა კონტროლი პალატის ქმედებები და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას უზრუნველყოს საქართველოს კონტროლის პალატის მიერ წარმოებულ გამოძიებების კანონთან და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმისწარმოება პოლიტიკური პარტიების წევრებისა და ჟურნალისტების უფლებების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.[47]

სამწუხაროდ კონტროლის პალატის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონმდებლობის არასწორ ინტერპრეტაციას. დაბარებულ მოქალაქეთა დაკითხვის მანერა, ხანგრძლივობა, დასმული კითხვები, კონტროლის პალატის მხრიდან მოქალაქეებთან ურთიერთობის შეურაცხმყოფელი ფორმები, მათზე მუქარისა და ზეწოლის ფორმების გამოყენება, ცხადად მეტყველებს მოქალაქეთა დაშინებაზე. მით უფრო საარჩევნო წელს, რაც უარყოფითად აისახება მოქალაქეთა ჩართულობაზე და კიდევ უფრო დაამძიმებს წინასაარჩევნო გარემოს ქვეყანაში.[48]

მოგვიანებით, საქართველოს კონტროლის პალატის პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურში მიმდინარე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში განმარტების მისაცემად დაბარებული ცალკეული პირების გამოუცხადებლობისა და, შესაბამისად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 348[2]-ე მუხლით. შსს-ს ოფიციალური განცხადებით, შესაბამისი მასალები საქართველოს კონტროლის პალატიდან საქართველოს შს სამინისტროს შესაბამის რაიონულ სამმართველოებში გადაიგზავნა, რომლის ფარგლებშიც პირების მოწმის სახით დაკითხვა მიმდინარეობდა.[49]

შსს-ს მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 348[2]-ე მუხლით გამოძიების დაწყება, რომელიც კონტროლის პალატის მიერ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაბარებული პირების მიერ ახსნა-განმარტების მიცემაზე უარის თქმის ფაქტებს უკავშირდება, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენს.[50]

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ მოქალაქეებისათვის დაგზავნილი უწყების შინაარსი ბუნდოვანი იყო და მისი შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგები არ იყო განჭვრეტადი. შესაბამისად, დაუშვებელი იყო აღნიშნული უწყებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამხდარიყო სისხლის სამართლის გამოძიების დაწყების საფუძველი შემდეგ გარემოებათა გამო:

- გაგზავნილი უწყებიდან არ ირკვეოდა, თუ რა ფაქტთან დაკავშირებით და რა სახის წარმოება მიმდინარეობდა კონტროლის პალატის მიერ; უწყება ერთდროულად საუბრობდა ადმინისტრაციულ წარმოებაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასა და თვალთმაქცურ გარიგებაზე, რაც სხვადასხვა სამართალწარმოების სფეროა;
- კონტროლის პალატის უწყების მიხედვით, მოქალაქეებს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები განემარტებოდათ (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლი), რაც თავისთავად გამორიცხავდა, რომ ისინი მოწმის სტატუსით იყვნენ დაბარებული. თუკი კონტროლის პალატას ამ პირთა მოწმის სტატუსით დაბარება სურდა, გაგზავნილ უწყებაში მითითებული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა კოდექსის არა 252-ე, არამედ 256-ე მუხლი, რომელიც სწორედ მოწმის დეფინიციას იძლევა. აღნიშნული კი ნიშნავს, რომ ვინაიდან უწყება მათთვის მოწმის სტატუსის ქონას არ ადასტურებდა, ამ პირთა გამოუცხადებლობა ანდა ჩვენების მიცემაზე უარის თქმა ვერ გახდებოდა მათი სისხლის სამართლის კოდექსის 348[2]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის საფუძველი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ უწყების მეტისმეტად ბუნდოვანი ტექსტი მოქალაქის მიერ ამ ფორმის პასუხისმგებლობის ალბათობის განჭვრეტის შესაძლებლობას არ იძლეოდა.
- აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი, უწყების თანახმად, მოქალაქეებს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები განემარტათ, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა არ შეიძლება გამხდარიყო მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს.

შესაბამისად მიგვაჩნია, რომ მსგავსი ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადი უწყების საფუძველზე დაბარებული პირების გამოუცხადებლობა არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება გამხდარიყო სისხლისსამართლებრივი გამოძიების დაწყებისა და ამ პირთა შესაძლო პასუხისმგებლობის საფუძველი.

კონტროლის პალატის და შემდგომ შსს-ს მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც მოქმედი კანონმდებლობის არასწორი ინტერპრეტაციით ხორციელდებოდა და, ცალკეულ შემთხვევებში, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას წარმოადგენდა, ნაკლებად ჰგავს პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესწავლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას და უფრო პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის სახეს იძენს.[51]

[46] http://www.amnesty.org/en/region/georgia viewed on March 16, 2012.
[47] http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1471 viewed on March 16, 2012
[48] http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1234%3A2012-03-16-06-46-31&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka
[49] http://www.police.ge/index.php?m=8&newsid=3166
[50] http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1235%3A2012-03-16-12-35-37&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka
[51] http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1234%3A2012-03-16-06-46-31&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka

V. სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაშინების, სამსახურიდან გათავისუფლების და ზეწოლის ფაქტები

წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა პოლიტიკური პარტია საიას მონიტორებს მათი აქტივისტებისა და წევრების დაშინებისა და ზეწოლის ფაქტების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას. მაგალითად:

2012 წლის იანვარში სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გაათავისუფლეს:

საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვიტორის საჯარო სკოლის პედაგოგი **ლევან ჯიქურიძე**; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სარეკის საჯარო სკოლის პედაგოგი **მთვარისა მელაძე;** საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის პედაგოგი **ნონა შუკაკიძე**; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის პედაგოგი **ნონა ტყემელაძე**; საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის პედაგოგი **ლევან ივანაშვილი;** საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლის პედაგოგი **თემურ კაპანაზე;** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი **თამარ სუხიაშვილი**. როგორც თამარ სუხიაშვილმა საიას თანამშრომლებს განუცხადა, მისი სამსახურიდან განთავისუფლების საფუძველი **რესპუბლიკურ პარტიასთან** თანამშრომლობა გახდა.[52] თამარ სუხიაშვილს 2004 წელს ჩაბარებული აქვს ისტორიის სასერტიფიკაციო გამოცდა, არის გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომელი, აბიტურიენტთა ნაშრომების გამსწორებელი ისტორიაში, ორი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და ისტორიის მასწავლებელთა ევროპული ასოციაციის წევრი. სამსახურიდან გაათავისუფლეს **„თავისუფალი დემოკრატების“** წევრის მეუღლე **ია ბჟალავა.** ია ბჟალავა გორის №9 საჯარო სკოლის პედაგოგად მუშაობდა. ის სერტიფიცირებული პედაგოგია. ია ბჟალავას მიაჩნია, რომ მისი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნით მოხდა, ვინაიდან მისი მეუღლე პარტია **„თავისუფალი დემოკრატების“** წევრია. სამსახურიდან გაათავისუფლეს **„რესპუბლიკური პარტიის“** გორის ოფისის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელის დედა **მარიამ კოხტაშვილი,** რომელიც გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სკრის საჯარო სკოლის პედაგოგად მუშაობდა. საიასთან საუბარში მარიამ კოხტაშვილი მის გათავისუფლებას მისი შვილის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. სამსახურიდან გაათავისუფლეს **„თავისუფალი დემოკრატების“** წევრის მეუღლე **მაგული ბასიაშვილი**, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. როგორც მან საიას თანამშრომლებთან საუბრისას განაცხადა, მისი სამსახურიდან გათავისუფლება მისი მეუღლის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება.

2012 წლის მარტში სამსახურიდან გაათავისუფლეს ბოლნისის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი **თამარ ასპანიძე**. როგორც თამარ ასპანიძემ საიას განუცხადა, მისი სამსახურიდან გათავისუფლება მისი შვილის, დავით ასპანიძის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება. დავით ასპანიძე რესპუბლიკური პარტიის ბოლნისის ორგანიზაციის თავმჯდომარეა. თამარ ასპანიძის განცხადებით, გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე სწორედ მისი და მისი შვილის პოლიტიკური შეხედულებების გამო მას სკოლის დირექტორმა სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. ასპანიძის თქმით, დირექტორმა აღნიშნა, რომ თუკი ქალბატონი თამარი საკუთარი ნებით არ დატოვებდა სამუშაო ადგილს, მაშინ დირექტორი იძულებული იქნებოდა, გათავისუფლების საფუძველი მოეძებნა და შრომითი ურთიერთობა ვადაზე ადრე შეეწყვიტა ან თავადვე დაეტოვებინა საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობა. დირექტორის განცხადებით, ასპანიძის, როგორც პედაგოგის მიმართ, არანაირი პრეტენზია არ არსებობდა, თუმცა, ის იძულებული იყო, ბოლნისის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრიდან მიღებული მითითება შეესრულებინა. ბოლნისის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ასპანიძესთან საუბარში არ უარყო პედაგოგის გათავისუფლების სურვილი და აღნიშნა, რომ მისი გათავისუფლების მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ქალბატონი თამარი არაერთხელ „დაუფიქსირებიათ“ **„ქართული ოცნების“ ოფისთან.** გათავისუფლების ბრძანებაში კი, მითითებულია, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა გახდა. აღსანიშნავია, რომ თამარ ასპანიძე ბოლნისის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგად ბოლო ოცი წლის განმავლობაში მუშაობდა და ამ დროის განმავლობაში არასდროს გამოთქმულა მის მიმართ პრეტენზიები ადმინისტრაციის მხრიდან.[53]

2011 წლის დეკემბერში სამსახურიდან დაითხოვეს ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლის პედაგოგი, პარტია **„თავისუფალი დემოკრატების“** აქტივისტი – **ნოდარ კილაძე**; ნოდარ კილაძის მეუღლე **ნათელა ნოზაძე**, რომელიც ბრილის საჯარო სკოლაში უცხო ენების პედაგოგად მუშაობდა. ხაშურის №1 საჯარო სკოლის უცხო ენის პედაგოგი, პარტია **„თავისუფალი დემოკრატების“** ხაშურის ოფისის ლიდერის და – **მაია ცხადიაშვილი.** ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაყიას საჯარო სკოლის უცხო ენის პედაგოგი, პარტია **„თავისუფალი დემოკრატების“** აქტივისტის მეუღლე, **ნანი ივანაშვილი**.

პედაგოგების სამსახურიდან განთავისუფლების თითქმის ყველა შემთხვევაში განთავისუფლების ოფიციალურ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, შრომითი ხელშეკრულების მოშლა. თუმცა, როგორც განთავისუფლებული პედაგოგები აცხადებენ, განთავისუფლების რეალური მიზეზი მათი და მათი ახლობლების პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა და ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის მინიჭების მიზნით ხელმოწერების შეგროვება გახდა.[54]

აღსანიშნავია, რომ შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებიდან განთავისუფლებულ პედაგოგებთან დაკავშირე-

---

[52] http://netgazeti.ge/GE/88/Life/7738/

[53] http://www.gyla.ge/index.php საიას განცხადება თამარ ასპანიძის განთავისუფლების ფაქტთან დაკავშირებით. 2012 წლის 28 მარტი.

[54] სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით საჩხერის მუნიციპალიტეტში განთავისუფლდა კიდევ ათი მოქალაქე: საჩხერის ჯანდაცვის განყოფილებიდან - თემურ ჩაჩანიძე; საჩხერის №1 სკოლის დირექტორი - ნოზაძე ამირან; №1 საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა კუსიანი; №2 სკოლის დირექტორი - გაბიდაური ნელი; პერევის საჯარო სკოლის დირექტორი - შუკაკიძე გურამ; ჯალაურთის თემი - ნოზაძე რუსუდან; გოგატიშვილი მალხახ – არქიტექტორი; ზაბახიძე სიმონ - ენერგოპროჯორჯიას ოფისი; ზაბახიძე ირინა- ინტერნეტ კაფეს თანამშრომელი; კაპანაძე მურმან - კულტურის სახლი; კვესაძე თემურ- საცურაო აუზის დირექტორი. გადაცემა „კვირის რეპორტაჟი.“ სტუდია GNS - 04.03.2012

ბით დამსაქმებელთა მხრიდან არ ყოფილა წარმოდგენილი რეალური და დასაბუთებული არგუმენტები, რატომ მოხდა მათ მიერ თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობების ვადაზე ადრე შეწყვეტა. მით უფრო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მათ შორის იყვნენ ისეთი პედაგოგებიც, რომლებსაც სერტიფიცირება გავლილი ჰქონდათ.

როგორც საჩხერის მუნიციპალიტეტიდან განთავისუფლებულმა პედაგოგებმა საიას თანამშრომლებს განუცხადეს, განთავისუფლებამდე სკოლის ადმინისტრაცია ზეპირად აფრთხილებდა, რომ თავი დაენებებინათ პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისა და ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის მინიჭების მიზნით ხელმოწერების შეგროვებისათვის. პედაგოგები გაფრთხილებას არ დაემორჩილნენ და, შესაბამისად, სამსახურებიდან გათავისუფლდნენ. მაგალითად, როგორც განთავისუფლებული პედაგოგი ლევან ჯიქურიძე საიასთან საუბარში აცხადებს, განთავისუფლებამდე ის გააფრთხილეს, რომ თავი დაენებებინა პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვისათვის და საკუთარი ფეისბუქის გვერდიდან გაექრო „ქართული ოცნების“ ლოგო, რაც მან არ შეასრულა.[55]

ადამიანის დევნა მისი პოლიტიკური მოღვაწეობის ან შეხედულებების გამო, სისხლის სამართლის დანაშაულია. საიას მიაჩნია, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძიონ მოცემული ფაქტები და, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, დასვან შესაბამისი პირების პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

ირაკლი დოლაბერიძის საქმე

„ქართული პარტიის'' გენერალურმა მდივანმა ირაკლი დოლაბერიძემ საიას განუცხადა, რომ მას უკანონოდ შეზღუდული აქვს გადაადგილების უფლება. დოლაბერიძემ აღნიშნა, რომ თბილისის აეროპორტში საპატრულო პოლიციის თანამშრომლები ქვეყნიდან გასვლის უფლებას არ აძლევენ და მიზეზსაც არ ეუბნებიან: 2012 წლის 11 მარტს ირაკლი დოლაბერიძე სტამბულის გავლით პარიზში მიემგზავრებოდა. საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა მას პასპორტი უკან დაუბრუნეს და უთხრეს, რომ მისი სახელი და გვარი იმ პირთა ბაზაშია შეტანილი, ვისაც ქვეყნის დატოვება ეკრძალება. დოლაბერიძის განცხადებით, მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი 2012 წლის 6 იანვარსაც. მესაზღვრეებმა მაშინაც ანალოგიური მიზეზი დაასახელეს. როგორც დოლაბერიძემ საიას განუცხადა, დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში უცნობი პირები დაბურულ შუშებიანი ავტომანქანებით მის სახლს 24 საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ.

ირაკლი დოლაბერიძე არის ,,ქართული პარტიის'' გენერალური მდივანი, საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარატეში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. მას ხშირად უწევს საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრება. ამასთანავე, ის არ არის მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში, არ არის პრობაციონერი და არ არსებობს კანონით გათვალისწინებული არანაირი საფუძველი, რის გამოც შეიძლება შეეზღუდოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული გადაადგილების უფლება. იმის გასარკვევად, თუ რის საფუძველზე ეკრძალება ქვეყნიდან გასვლა, ,,ქართული პარტიისა'' და კარატეს ეროვნული ფედერაციის სახელით არაერთხელ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა, 2012 წლის იანვრიდან დღემდე პასუხი არ მიუღია. მიმდინარე წლის იანვარში მიმართა საქართველოს სახალხო დამცველს და შეატყობინა მისი უფლებების დარღვევის შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ საკითხზე სახალხო დამცველმაც მიმართა, თუმცა, არც აღნიშნულს მოჰყოლია რაიმე სახის რეაგირება. საია აპირებს, განახორციელოს ირაკლი დოლაბერიძის საადვოკატო წარმომადგენლობა.

ელგუჯა მახარაშვილის, აკაკი ელიაშვილის და ჯაბა ელიაშვილის დაკავება

2012 წლის 17 თებერვალს დააკავეს პოლიტიკური გაერთიანება **„თავისუფალი დემოკრატების“ აქტივისტები,** გორის რაიონის სოფელ მერეთში მცხოვრები **ელგუჯა მახარაშვილი, აკაკი ელიაშვილი და ჯაბა ელიაშვილი**. თავდაპირველად გამოძიება 239-ე მუხლით დაიწყო, რაც ხულიგნობით კვალიფიცირდება, 21 მარტს კი წაყენებულ ბრალდებას 118-ე მუხლი დაემატა – ჯანმრთელობის ნაკლებ მძიმე დაზიანება.[56] სამივე პირს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ. მახარაშვილის მამა, გოდერძი მახარაშვილი, რომელიც არის პოლიტიკური გაერთიანება **„თავისუფალი დემოკრატების"** გორის კოორდინატორი, მისი შვილის, ელგუჯა მახარაშვილის და მისი შვილის მეგობრების დაკავებას მის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირებს. გოდერძი მახარაშვილის განცხადებით, ის ხშირად გამხდარა გორის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს თანამშრომელთა მუქარისა და შანტაჟის მსხვერპლი. როგორც მახარაშვილმა საიას განუცხადა, მის შვილს ელგუჯა მახარაშვილს და მისი შვილის მეგობრებს აკაკი ელიაშვილს და ჯაბა ელიაშვილს ხშირად დამუქრებიან გორის შინაგან საქმეთა რაიონული სამმართველოს თანამშრომლები დაპატიმრებით, თუ ისინი არ შეწყვეტდნენ ურთიერთობას **„თავისუფალ დემოკრატებთან."**

2012 წლის 16 თებერვალს ახალგაზრდებს კონფლიქტი მოუვიდათ სამხედრო პოლიციის თანამშრომელ გიორგი გლახაშვილთან, რომელიც გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში სოფელ მერეთის დეპუტატის დიშვილია. ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა გიორგი გლახაშვილმა ავტომანქანის გვერდითი ხედვის სარკე მიაჯახა აკაკი ელიაშვილს. ხოლო მას შემდეგ, რაც შენიშვნა მიიღო, კონფლიქტი წამოიწყო აკაკი ელიაშვილთან და მის მეგობრებთან. მცირე სიტყვიერი შელაპარაკების შემდგომ გოგიტა გლახაშვილმა მიატოვა შემთხვევის ადგილი, თუმცა, უკან დაბრუნდა და ანგარიშის გასასწორებლად შემთხვევის ადგილზე მეგობრები მიიყვანა. კონფლიქტი ჩხუბში გადაიზარდა. მართალია მოჩხუბრები გააშველეს, თუმცა რამდენიმე ხანში შემთხვევის ადგილზე მი-

[55] საიას გორის ოფისი ახორციელებს ორი განთავისუფლებული პედაგოგის, ხოლო საიას ქუთაისის ფილიალი - საჩხერის მუნიციპალიტეტში განთავისუფლებული ექვსივე პედაგოგის საადვოკატო წარმომადგენლობას ახორციელებს.

[56] სამივე პირს საადვოკატო დახმარებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისი უწევს.

ვიდა გორის რაიონული სამმართველოს თანამშრომელი, ზვიად ხმიადაშვილი, რომელმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ელგუჯა მახარაშვილის მამას, გოდერძი მახარაშვილს და მის მიმართ გამოხატა აშკარა აგრესია. აღნიშნული ინციდენტის მეორე დღეს, გამთენიისას, დაახლოებით 06.30 საათზე, ელგუჯა მახარაშვილი, აკაკი ელიაშვილი და ჯაბა ელიაშვილის პოლიციამ საცხოვრებელ სახლებიდან აიყვანა. დაკავებისას პოლიციის თანამშრომლებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ახალგაზრდების ოჯახის წევრებს.

საიას ადვოკატის შეფასებით, რომელიც ახორციელებს დაკავებულების დაცვას, ბრალდება დაემყარა მხოლოდ რამდენიმე მოწმის ჩვენებას და დაზარალებულთა ჩვენებებს, სადაც ფაქტობრივი გარემოებები მთლიანად დამახინჯებულია. განსხვავებით გამოძიებაში არსებული მტკიცებულებებისა, დაცვის მხარის მიერ გამოიკითხა ცხრა პირი, რომლებიც აცხადებენ, რომ ელგუჯა მახარაშვილთან, აკაკი ელიაშვილთან და ჯაბა ელიაშვილთან ჩხუბი სამხედრო პოლიციის თანამშრომელმა გიორგი გლახაშვილმა და მისმა მეგობრებმა წამოიწყეს. ამასთან, გამოკითხული პირები განმარტავენ, რომ გორის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლის, ზვიად ხმიადაშვილის მხრიდან გოდერძი მახარაშვილის და მისი ოჯახის წევრების მიმართ პოლიტიკური მოტივით განხორციელებული მუქარის და შანტაჟის ფაქტების უშუალო თვითმხილველები არიან. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება გორის შს რაიონულ სამმართველოში.

სკოლა „მილენიუმის“ დახურვა რუსთავში

რუსთავის კერძო სკოლა "მილენიუმის" დირექტორის ელზა ლეკვეიშვილის განცხადებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, რუსთავში 11 სკოლას შეექმნა ავტორიზაციის პრობლემა, თუმცა, საბოლოოდ ავტორიზაცია მხოლოდ მის საკუთრებაში არსებულმა სკოლა "მილენიუმმა" ვერ გაიარა. სკოლის დახურვის გამო 49 მასწავლებელი უმუშევარი დარჩა, ხოლო 152 მოსწავლე იძულებული გახდა განათლების მისაღებად სხვა სკოლისთვის მიემართა.[57] როგორც ელზა ლეკვეიშვილმა საიას თანამშრომლებს განუცხადა, სკოლას ავტორიზაციის პრობლემები მხოლოდ იმის გამო შეექმნა, რომ მისი მეუღლე **ბიძინა ივანიშვილის** სამშენებლო **კომპანია "ატუს" დირექტორია.** მისი განცხადებით, გაგებული ჰქონდა, რომ თითქოს ის, რუსთავში, ქმნიდა პოლიტიკურ ორგანიზაციას და "ქართული ოცნებისთვის" მას უნდა ეხელმძღვანელა. ელზა ლეკვეიშვილის ინფორმაციით, ყველა სკოლაში შემოწმება მხოლოდ ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, სკოლა „მილენიუმში“ კი, იმუშავეს ორი სრული დღე, გვიანობამდე. როგორც ლეკვეიშვილი აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგიდან მეორე დღესვე სკოლას ჰქონდა ხარვეზების გამოსწორების გეგმა, რაც, ასევე, წარდგენილ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზეც, მას არ მიეცა საშუალება ხარვეზების გამოსწორებისა[58]. ელზა ლეკვეიშვილი საიასთან საუბარში არ უარყოფს, რომ მის სკოლას ჰქონდა ხარვეზები (ძირითადად სასკოლო სასწავლო გეგმის ფარგლებში), მაგრამ იმაზეც მიუთითებს, რომ სკოლის შემოწმების დროს დაფიქსირებული დარღვევების უმეტესობა არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.[59]

თეიმურაზ მურვანიძე

2012 წლის 25 თებერვალს, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, დააკავეს ხუთი პირი, მათ შორის, ერთ-ერთი გახლდათ თეიმურაზ მურვანიძე – პოლიტიკური გაერთიანება **„საქართველოს გზის“** საერთაშორისო მდივანი.

2012 წლის 25 თებერვალს, "კიკვიძის ბაღში" ხეების გაჩეხვამ და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების განსათავსებელი შენობის მშენებლობამ გარემოს დამცველების სამართლიანი პროტესტი გამოიწვია, თუმცა, პროტესტი არ გასცილებია დასაშვებ ფარგლებს – პარკის ტერიტორიაზე შეკრებილ პირებს წესრიგის დამცველებისთვის არ მიუციათ საბაბი, რომ ძალა გამოეყენებინათ. სამშენებლოდ შემოღობილი ტერიტორია უკავშირდებოდა, ჩვეულებრივად, ტრანსპორტის სამოძრაოდ განკუთვნილ მიწის ზედაპირს – გზას.

2012 წლის 25 თებერვალს, პარკში შეკრებილ პირთა შორის ერთ-ერთი გახლდათ თეიმურაზ მურვანიძე. აღნიშნული პიროვნება სხვებთან ერთად გამოხატავდა პროტესტს იმის გამო, რომ შსს-ს თანამშრომლებმა სარეკრეაციო ზონის ფართობის შემცირება, პარკის გავლით სამშენებლო ტრანსპორტის სვლა მოინდომეს, რაც აატალახებდა სკვერის ტერიტორიას და დანიშნულებისთვის ყოვლად უვარგისს გახდიდა „კიკვიძის ბაღს.“

მონაწილეების ნაწილი ფარავდა სკვერის იმ ტერიტორიას, რომელზეც შსს-ს თანამშრომლების განმარტებით უნდა გამოევლო "კამაზის" მარკის სატრანსპორტო საშუალებებს, მაგრამ მათ შორის არ მდგარა თეიმურაზ მურვანიძე. თეიმურაზ მურვანიძე იდგა მოშორებით და მშვიდად ადევნებდა თვალს არსებულ სიტუაციას. პოლიციამ მოახერხა ის, რომ, მანქანამ გაიარა პარკის ტერიტორიაზე, ამის შემდეგ კი დაიწყეს შეკრებილი ახალგაზრდების დაკავება. ერთ-ერთი დაკავებული გახლდათ დავით ფაცაცია, რომლის დაკავების მომენტშიც, მურვანიძე მივიდა პოლიციის თანამშრომელთან და ჰკითხა მიზეზი, ამას, კი შედეგად თეიმურაზ მურვანიძის დაკავებაც მოყვა. ეს მოხდა, მას შემდეგ, რაც სატვირთო სატრანსპორტო საშუალებამ გაიარა, არავითარ ხელშეშლას ტრანსპორტისთვის თეიმურაზ მურვანიძის მხრიდან ადგილი არ ჰქონია.

---

[57] http://netgazeti.ge/GE/94/Life/8408/

[58] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის ბრძანების №99/ნ 30-ე მუხლის საფუძველზე დაწესებულების სტანდარტებთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია განსაზღვროს გონივრული (არაუმეტეს 15 დღისა) ვადა შესაბამისი პირობების გამოსასწორებლად,გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

[59] საია მონიტორინგს განახორციელებს სკოლა „მილენიუმის“ ავტორიზაციის გავლის პროცესზე, რომლის მიზანია სკოლის მიერ საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების ხელახალი მოპოვება.

მედიით გავრცელებული სხვა ფაქტები:

ფოთში სკოლის დარაჯი გაათავისუფლეს

2012 წლის თებერვალში ფოთის მეშვიდე საჯარო სკოლის დარაჯი, **ზურაბ თავართქილაძე** სამსახურიდან გაანთავისუფლეს. როგორც 61 წლის განთავისუფლებული დარაჯი, აცხადებს, ის სამსახურიდან პოლიტიკური მოტივით გაათავისუფლეს. მას სკოლის მანდატურების ხელმძღვანელმა გაზეთი **"ქართული ოცნება"** აღმოუჩინა. თუმცა სკოლის დირექტორი დარაჯის პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან განთავისუფლებას უარყოფს და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზად მის მიერ მოვალეობების სათანადო შეუსრულებლობას ასახელებს.[60]

საახალწლო კონცერტი საჩხერეში და დაშავებული ადამიანები

2012 წლის 13 იანვარს ღამით, საჩხერეში, საახალწლო კონცერტის მსვლელობისას **ინციდენტი** მოხდა. სცენაზე იმერეთის მხარის გუბერნატორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მაყურებლებს საჩხერეში ხელისუფლების მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ესაუბრებოდნენ. მაყურებელთა ნაწილმა ივანიშვილის მიერ შესრულებული სამუშაოების ხელისუფლებისთვის მიწერა ხმადაბალი შეძახილით გააპროტესტა. შეძახილს რეაქცია სოდის თანამშრომლებისგან მოჰყვა.

როგორც ქართული ოცნების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა დაშავებულმა **ინფორმაციაზე** დაყრდნობით განაცხადა, სოდ-ის წარმომადგენლებმა შეძახილის ავტორები ხალხის მასიდან ხელკავით გაიყვანეს და მოშორებით პოლიციის პიკაპსა და ორ სხვა ავტომობილში მსხდომ პოლიციელებს გადასცეს. დაშავებულთა თქმით, პოლიციამ ისინი მანქანებში ცემით ჩასვა და ზოგი მოშორებით ჩაბნელებულ ადგილას, ზოგიც საჩხერის რკინიგზის სადგურისკენ გაიყვანეს, სადაც მინის ბოთლებით სცემეს. დაშავებულთაგან მძიმედ ოთხი ადამიანია, მათგან ერთ-ერთს ფეხი აქვს მოტეხილი.[61]

არასრულწლოვნის ცემის ფაქტი საჩხერეში საახალწლო კონცერტის მსვლელობისას

2012 წლის 13 იანვარს ღამით, საჩხერეში, საახალწლო კონცერტის მსვლელობისას მომხდარი ინციდენტის დროს სამოქალაქო ფორმაში ჩაცმულმა პირებმა თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს არასრულწლოვან მოქალაქეს – დავით კიკნაძეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა მთავარ პროკურორს გამოძიების დაწყების რეკომენდაციით მიმართა. სახალხო დამცველის რწმუნებულები შეხვდნენ და ახსნა-განმარტება ჩამოართვეს კიკნაძეს. დ.კიკნაძის ახსნა-განმარტების თანახმად, 13 იანვარს, ქ. საჩხერის კულტურის სახლთან გამართულ კონცერტზე, მან ბიძინა ივანიშვილის მხარდასაჭერი შეძახილი გააკეთა. რამდენიმე წუთში, უცნობმა პირებმა დავით კიკნაძე ძალის გამოყენებით მანქანაში ჩასვეს და კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიიდან წაიყვანეს. მანქანაში მყოფი პირებიდან დავით კიკნაძემ ერთ-ერთი პირი ამოიცნო. მისი განცხადებით შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელია. ახსნა განმარტების თანახმად, სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული პირები მას ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ, წაართვეს მობილური ტელეფონი, რომელიც მოგვიანებით SIM ბარათის გარეშე დაუბრუნეს. დავით კიკნაძის განმარტებით მას თავისუფლება საათნახევრის განმავლობაში ჰქონდა შეზღუდული, რის შემდეგაც, უცნობებმა მისი მონაცემები ჩაიწერეს და წასვლის უფლება მისცეს. დავით კიკნაძის განმარტებით მისი დაკავების ფაქტი დაინახეს სამართალდამცავებმა, თუმცა მათ აღნიშნულზე არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ.[62]

გურჯაანში ქართული ოცნების წევრი სამსახურიდან გაათავისუფლეს

გურჯაანში, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების" შტაბის წევრი ზვიად ყვირალაშვილი სამსახურიდან გაათავისუფლეს.[63] ყვირალაშვილი საკრებულოს მიერ დაფუძნებულ შპს „კეთილმოწყობა"-ში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და შრომითი ხელშეკრულება 2012 წლის 1-ლ მაისამდე ჰქონდა გაფორმებული.

ზვიად ყვირალაშვილი სამსახურიდან განთავისუფლებას მის მიერ „ქართული ოცნების" გურჯაანის ოფისის გახსნის ორგანიზებას უკავშირებს. ყვირალაშვილის განცხადებით, განთავისუფლების ბრძანებაში განთავისუფლების რეალური მიზეზები დასახელებული არ არის."[64]

ელგუჯა ჩხაიძის დაკავება

2012 წლის 13 იანვარს პოლიციამ **„თავისუფალი დემოკრატების"** ლანჩხუთელი აქტივისტი, ელგუჯა ჩხაიძე დააკავა. პოლიცია ჩხაიძეს ბრალად იარაღის უკანონო შენახვას ედავებოდა. დაკავებიდან მეორე დღეს ჩხაიძეს გირაო შეუფარდეს და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. ელგუჯა ჩხაიძის აზრით, დაკავებას მისი ბოლოდროინდელ პოლიტიკურ აქტიურობა და ივანიშვილის მხარდამჭერი ხელმოწერების შეგროვება უდევს საფუძვლად.

---

[60] http://netgazeti.ge/GE/95/News/8480/

[61] საჩხერის ცენტრში გამართულ საახალწლო კონცერტზე, „გაუმარჯოს ბიძინას" შეძახილის გამო, პოლიციამ ათამდე ადამიანს სცემა." (წყარო გაზეთი „პოსტსკრიპტუმი", №3 (608) 23-29 იანვარი, 2012 წელი

[62] http://www.ombudsman.ge/index.php?page=1001&lang=0&id=1459

[63] http://ick.ge/ka/rubrics/politics/10095-------video.html

[64] http://ick.ge/ka/rubrics/politics/10095-------video.html

პოლიციამ მას ფერმაში ავტომატი აღმოუჩინა, ხოლო მჭიდი საქათმეში, კვერცხების ბუდეში უპოვა.[65] საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება.

სერგო ჩაჩიბაიას დაკავება

2012 წლის 25 მარტს ზუგდიდის პოლიციამ **„თავისუფალი დემოკრატების“** ზუგდიდის ორგანიზაციის წევრი სერგო ჩაჩიბაია დააკავა. დაკავება დღის 16 საათზე მოხდა, თუმცა ჩაჩიბაიას ადგილსამყოფლის შესახებ ინ-ფორმაცია, ექვსი საათზე მეტი ხნის განმავლობაში უცნობი იყო, ადვოკატი დაკავებულთან მხოლოდ შვიდი საათის შემდეგ შეუშვეს. **„თავისუფალი დემოკრატების“** ზუგდიდის ორგანიზაციის ლიდერი გია ალასანია თანაპარტიელის დაკავებას ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებულ ბოლოდროინდელ მწვავე განცხადებას უკავ-შირებს და ფაქტს პოლიტიკურ დევნად აფასებს. მისივე განცხადებით, 25 მარტს, დაახლოებით 16 საათისთვის, სერგო ჩაჩიბაიას მანქანა, პუშკინის ქუჩაზე ავტოპროფილაქტიკაში ჰქონდა მიყვანილი, რა დროსაც ახალგაზ-რდა კაცი მიუახლოვდა მას, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და საცემად გაიწია. მისივე განმარტებით, იმ-ავე წუთს, პოლიციის „პიკაპი“ გამოჩნდა და სერგო ჩაჩიბაია პოლიციის თანამშრომელმა, ვინმე ნაროუშვილმა დააკავა. ჩაჩიბაიას ბრალად პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ცივი იარაღის უკანონოდ ტარება ედე-ბა. მას სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.[66]“

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი მასალები ეყრდნობა სხვადასხვა მედია-საშუალებით გავრცელებულ ინფორმაციებს და საიას მხრიდან მისი გადამოწმება არ მომხდარა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს დამაჯერებელი პასუხი არ გაუციათ დასახელებულ ფაქტებთან და-კავშირებით.

VI. დასკვნა

საიამ წინასაარჩევნო პროცესის მონიტორინგი არჩევნებამდე გაცილებით ადრე დაიწყო. სამწუხაროდ, განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა ბოლო პერიოდის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე ტენდენციები, რომლებიც პოლიტიკური პარტიებისათვის არსებულ არათანასწორ გარემოს კიდევ უფრო აღრმავებს.

საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზის მიხედვით ჩანს, რომ 2011 წლის დეკემბრის ბოლოს საარჩევნო კოდექსში, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონსა და სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებები ქმნის უთანასწორო საარჩევნო გარემოს, საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებებს, შეზღუდვებს უწესებს სამოქალაქო — პოლიტიკურ აქტივობებს, ადგენს არაგონივრულ და არაპროპორციულ სანქციებს. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ცვლილებები ვერ უზრუნველყოფს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების განხორციელებას. საია იმედს იტოვებს, რომ საქართველოს პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის მიღწეული შეთანხმებით აღმოიფხვრება კანონში არსებული საფრთხეები და პრობლემური საკითხები.

საარჩევნო წელს ხელისუფლების მიერ არაერთი მასშტაბური, ერთჯერადი საბიუჯეტო პროგრამების ინიცი-რება მოხდა, რომელიც მნიშვნელოვან საბიუჯეტო რესურსებს მოითხოვს, სულ უფრო და უფრო აფერმკრ-თალებს სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარს და არათანაბარ პირობებს ქმნის პოლიტიკუ-რი პარტიებისათვის. მიგვაჩნია, რომ მსგავსი პროგრამების განხორციელებით ხელი ეშლება საქართველოში სამართლიანი და პოლიტიკური გაერთიანებისთვის თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას და იქმნება წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნოდ გამოყენების რისკები.

კონტროლის პალატის და შემდგომ შსს-ს მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდე-ბლობის არასწორი ინტერპრეტაციით განხორციელდა და, ცალკეულ შემთხვევებში, უფლებამოსილების ბო-როტად გამოყენებას შეიძლება წარმოადგენდეს, ნაკლებად ჰგავდა პოლიტიკური პარტიების ფინანსების შესწავლის მიზნით განხორციელებულ საქმიანობას და პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის სახე შეიძინა. მით უფრო საარჩევნო წელს, რაც უარყოფითად აისახება მოქალაქეთა ჩართულობაზე და კიდევ უფრო დაამძი-მებს წინასაარჩევნო გარემოს ქვეყანაში.[67]

საია შეშფოთებას გამოხატავს სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით მოქალაქეთა დევნის, დაშინების, სამსახუ-რიდან განთავისუფლების და ზეწოლის არაერთ ფაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც დღემდე შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია სათანადო ორგანოების მხრიდან. აღნიშნული ფაქტების სიმრავლე და ინტენსივობა კიდევ უფრო ხაზს უსვამს არასამართლიანი და არაკონკურენტული საარჩევნო გარემოს არსებობას ქვეყანაში.

[65] http://www.presage.tv/?m=politics&AID=9248
[66] http://www.tspress.ge/ka/site/articles/11412
[67] http://www.gyla.ge/index.php?option

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით დაბარებულ პირთა სტატისტიკა

დანართი დიაგრამების სახით:

1) დაბარებულ პირთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით



2) დაბარებულ პირთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით



3) რეგიონებში კონტროლის პალატის მიერ დაბარებულ პირთა მონაცემები



4) შსს-ში დაბარებულ პირთა მონაცემები რეგიონების მიხედვით



5) პირები, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიას



6) პირები, რომლებიც არ წარმოადგენდნენ პარტიას



7) პარტიების ჩამონათვალი, რომელსაც წარმოადგენდნენ დაბარებული პირები



8) საიას დაცვის ქვეშ მყოფ პირთა რაოდენობა